პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი აგრონომიის დარგში, რომელიც საერთაშორისო მეცნიერულ და სასწავლო სფეროში ინტეგრირების პირობებში, შეძლებს კონკურენციის გაწევას აგრობიზნესის სექტორში და იქნება ორიენტირებული მომხმარებლის საჭიროებებზე;
- შეასწავლოს აგრონომიის თანამედროვე მიღწევები და მისი გამოყენებით დანერგოს და განახორციელოს მინდვრის საკვები კულტურების, ბოსტნეული კულტურების, მევენახეობის, მეხილეობის, სხვადასხვა ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანა და ხარისხიანი მოსავლის მიღება.
- მისცეს სტუდენტს ფართო ცოდნა სამუშაო ადგილებთან დაკავშირებული ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების თანმდევი მავნე და საშიში ფაქტორების, დამახასიათებელი პროფესიული დაავადებებისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების, აგრეთვე გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესახებ.
- განუვითაროს სამუშაო ადგილებთან დაკავშირებული გარემოს ფაქტორების ამოცნობის, შეფასების, კონტროლისა და საწარმოო სახიფათო სიტუაციაში ადეკვატური გადაწყვეტილების მიღების, მოწინავე გამოცდილების გაზიარებისა და პროფესიული კომუნიკაციის უნარი.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

- **ახასიათებს** ცოცხალი ორგანიზმის სისტემათა ფუნქციონირებისა და რეგულაციის ძირითად პრინციპებს, მცენარეში მიმდინარე ბიოლოგიური, ბიოქიმიური, ფიზიოლოგიური პროცესების წარმართვის უმთავრეს მექანიზმებს და ეკოლოგიური ფაქტორების ზეგავლენას ეკოსისტემის მრავალფეროვნებაზე.
- **განიხილავს** სასოფლო სამეურნეო კულტურების მავნებელ-დაავადებებს, მცენარეთა დაცვის პრინციპებს, მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ინტეგრირებული ბრძოლის ღონისძიებებს.
- გენეზისის საფუძველზე ამინდისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით **აფასებს** ნიადაგების მდგომარეობას, მათ ფიზიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ მახასიათებლებს, **ადგენს** ამ ნიადაგების ნაყოფიერების გაზრდის მეთოდებსა და საშუალებებს, ნიადაგის ნაყოფიერების მართვის გეგმას;
- **მიმოიხილავს** მცენარეთა გენეტიკისა და სელექციის პრინციპებს, მეთოდებს, უახლეს მიღწევებს, მცენარეთა ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანის და შეფასების ძირითად მეთოდებს;
- წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად აგრონომიული საქმიანობის წარმართვისას **ითვალისწინებს** სურსათის უვნებლობისა და სასურსათო უსაფრთხოების მნიშვნელოვან საკითხებს.
- ბიოეკოლოგიური საკითხების გათვალისწინებით **აღწერს** ჯანსაღი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღებისათვის ჩასატარებელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ძირითად მეთოდებს და ღონისძიებებს.

- **შეარჩევს** სასოფლო-სამეურნეო კულტურების აგროტექნიკური მოთხოვნების შესაბამის, მოვლა-მოყვანისა და მოსავლის აღებისათვის განკუთვნილ თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიებსა და ტექნიკას.
- **აღწერს** სასოფლო-სამეურნეო და ორგანული სოფლის მეურნეობის დარგების ძირითად პრინციპებს, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების, ჯანსაღი ეკოსისტემის, ნიადაგის მაღალი ნაყოფიერების, აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნების და გაუმჯობესების გზებს.
- **მოიძიებს** აგრარულ სექტორში არსებულ მონაცემებს, ახდენს მონაცემთა გაანალიზებასა და აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს.
- **შეუძლია** პრაქტიკული ხასიათის პროექტის შემუშავება და განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და წარადგენს როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიულ საზოგადოებასთან და არასპეციალისტებთან, კონტექსტისთვის შესაბამისი ფორმით და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
- საფუძვლიანად **ფლობს** სპეციალობის შესაბამის ტერმინოლოგიას, აწარმოებს საქმიან დოკუმენტაციას, **ამყარებს** კომუნიკაციას დაინტერესებულ მხარეებთან ქართულ და უცხო ენაზე, **იყენებს** თანამედროვე ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი

სკალით. დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1.	ზოგადი და არაორგანული ქიმია	5
2.	მათემატიკის საფუძვლები	5
3.	მცენარეთა მორფოლოგია და სისტემატიკა	5
4.	ზოგადი ფიზიკა 1	5
5.	აგრონომიის საფუძვლები	5
6	**უცხოური ენა I - არჩევითი სასწავლო კურსები:**	
6.1	ინგლისური ენა – 1	**5**

6.2	რუსული ენა - 1	
6.3	ფრანგული ენა – 1	
6.4	გერმანული ენა – 1	
7.	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი	5
8.	ზოგადი ბიოლოგია	5
9.	შესავალი სტატისტიკაში	5
10.	გამოყენებითი ინფორმატიკა	5
11.	ნიადაგმცოდნეობა	5
12.	წერითი და ზეპირი კომუნიკაციები	5
13	**უცხოური ენა II - არჩევითი სასწავლო კურსები:**	
13.1	ინგლისური ენა - 2	**5**
13.2	რუსული ენა - 2	
13. 3	ფრანგული ენა - 2	
13.4	გერმანული ენა - 2	
14.	მცენარეთა ფიზიოლოგია	5
15.	ამინდი და კლიმატი აგრონომიაში	5
16.	ბიოორგანული ქიმია	5
17.	ეკონომიკის პრინციპები	5
18	**უცხოური ენა III - არჩევითი სასწავლო კურსები:**	
18.1	ინგლისური ენა - 3	**5**
18.2	რუსული ენა - 3	
18.3	ფრანგული ენა - 3	
18.4	გერმანული ენა - 3	
19.	**ჰუმანიტარული არჩევითი სასწავლო კურსები:**	
19.1	ფილოსოფიის შესავალი	5
19.2	სოციოლოგია	
19.3	გამოყენებითი ფსიქოლოგია	
19.4	კულტურა და თანამედროვეობა	
19.5	კრიტიკული აზროვნების ელემენტები	
19.6	დემოკრატია და მოქალაქეობა	
19.7	პოლიტოლოგია	
19.8	აკადემიური წერის საფუძვლები	
20.	ს/მ (მინდვრის) კულტურის მოვლა-მოყვანა, პროდუქტიულობა და მართვა	5
21.	ზოგადი ბიოქიმია	5
22.	ენტომოლოგია	5
23.	სურსათის უვნებლობა	5
24.	ბუღალტრული აღრიცხვა აგრარულ სფეროში	5
25	**უცხოური ენა IV - არჩევითი სასწავლო კურსები:**	
25.1	ინგლისური ენა - 4	5
25.2	რუსული ენა - 4	
25.3	ფრანგული ენა - 4	
25.4	გერმანული ენა - 4	

26.	ნიადაგი და გარემოს დაცვის ხარისხი	5
27.	მცენარეთა გენეტიკა და სელექცია	5
28.	საკვები კულტურების მართვა	5
29.	სასურსათო უსაფრთხოება	**5**
30.	ფიტოპათოლოგია	5
31.	ეკოლოგია სოფლის მეურნეობისთვის	5
32.	მცენარეთა დაცვის საფუძვლები	5
33.	მიწათმოქმედება	5
34.	ნიადაგი და მცენარის ზრდა-განვითარება	5
35.	მებოსტნეობა	5
36.	სასოფლო-სამეურნეო მიკრობიოლოგია სანიტარიის და ჰიგიენის საფუძვლებით	5
37.	ფერმერული მეურნეობის საქმიანობის მართვა	5
38.	მეხილეობა	5
39.	ორგანული სოფლის მეურნეობის თეორია და პრაქტიკა	5
40.	მევენახეობა	5
41.	სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მეთესლეობა	5
42.	წყლის რესურსების მენეჯმენტი სოფლის მეურნეობაში	5
43.	სამკურნალო მცენარეები	5
44.	სოფლის მეურნეობის მექანიზაცია	5
45.	საველე პრაქტიკა აგრონომიაში	5
46.	**სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები 10 კრედიტი:**	
46.1	გეოინფორმაციული სისტემები აგრონომიაში	5
46.2	შრომის დაცვის უსაფრხოება აგროსაწარმოებში	
46.3	სასათბურე მეურნეობის ექსპლუატაცია და მართვა	
46.4	ბიოგანახლებადი სისტემები	
46.5	მეცხოველეობის საფუძვლები	
46.6	საკარანტინო მავნებლები	
46.7	კონსერვაციული ბიოლოგია	
46.8	მეფუტკრეობა	
46.9	სისტემური ანალიზი ს/მ კულტურებში და ნიადაგის მართვაში	
46.10	შესავალი აგრონომიის სპეციალობაში	
46.11	ფინანსური ანგარიშგება	
46.12	კარიერის დაგეგმვა აგრონომიაში	
4613	მელიორაციული ნიადაგმცოდნეობა	
46.14	სარეველა მცენარეების იდენტიფიკაცია და მათი კლასიფიკაცია	
46.15	შესავალი აგრობაზრებში	
46.16	აგრობიზნესის მენეჯმენტი	
46.17	ნიადაგის გარემო და წყლის ქიმიური შემადგენლობა	

46.18	საკითხები მდგრად სოფლის მეურნეობაში	
46.19	მეწარმეობა სოფლის მეურნეობაში	
47.	**თავისუფალი კომპონენტი (5 კრედიტი)**	
47.1	საჯარო გამოსვლის ტექნიკის საფუძვლები	5
47.2	დედამიწა	
47.3	ლანდშაფტური არქიტექტურის ქალაქგეგმარებითი ასპექტები	
47.4	ბიზნეს კომუნიკაცია	
47.5	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	
47.6	ანტიკრიზისული მენეჯმენტის საფუძვლები	
47.7	კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი	
47.8	ტურიზმი	